№ 88. 30 აპრილი, ხუთშაბათი. 1866—1881 30 აპრილი, ხუთშაბათი. № 88.

რედაქცია

გორგასლის ბრანსპექტზე. ივ. შუხარნაკის სახლები ალუნის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „ივერიაში“ რედაქციაში, ქუთაისში „დროებაიმერეთის“ აგენტთან ი. ჭელინასთან ხალაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дрозба“-„Иверіи“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროება“ და „ივერია“ ერთად 14 მან. . . 8 მ. . 5 მ.

ცალკე { „დროება“ . . . . . 9 მან. . . 5 მ. . 3 მ.
„ივერია“. . . . . 7 მან. . . 4 მ. . 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპიკი ვერცხლი. [illegible] ასოზე ნახევარი კაპ. [illegible] ასოზე შვიდი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაიხარებს და ბეჭედულებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კარგ დაუბრუნებს ადგილს.

განცხადებანი მიიღება ქერითელს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“, „ივერიაში“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ დაბა 5 კაპ.

„დროების“ რედაქციის კანტორაში მიიღება ხელის-მოწერა მიცვალებულ ხელმწიფე-იმპერატორის ალექსანდრე II-ის სახსოვრად გასამართავ ბავშვების თავ-შესაფარ სახლის შეწირულობისათვის.

ტელეგრამები

პეტერბურღი 28 აპრილს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ ქიევის არეულობა, ებრაელების ცემა შეაჩერა ჯარმაო. ხუთასი კაცი არის დატუსაღებული. 27-ს არეულობა ხელ-ახლად მოხდა და ჯარებმა დაამშვიდობეს უწესოების მომხდენნი; ამ დროს ერთი ქალი მოჰკლეს და რამდენიმე კაცი დაიჭრა.

გამოვიდა ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც ღენერალურ შტაბის ოფიცერებსა და ჩინოვნიკებს წვერის მოშვების უფლება მიენიჭებათ.

ბატჩინის სასახლეში მოსამსახურე პირების ფოტოგრაფიული კარტოჩკები გარდაიღეს; ერთი თვითონ მოსამსახურე პირს უნდა ჰქონდეს მუდამ და მეორე სასახლის კანტორაშია; სასახლეში შესვლის დროს მოსამსახურემ უნდა წარადგინოს კანტორაში ეს კარტოჩკა. პოლკოვნიკი ანტონოვი მუდამ დღე ახალ ღონის-ძიებას ხმარობს ხელმწიფის დასაცველად. შცხო ქვეყნის გაზეთებში ტყუილს იწერებიან ხელმწიფის დაცვის თაობაზედ.

პეტერბურღში ჩერნოგორიის ელჩს მოელიან.

სტამბოლი, 27 აპრილს. საფრანგეთის ელჩი ტისსო მოვიდა გუშინ პორტაში და გამოაცხადა, რომ საფრანგეთის მმართებლობამ შეიტყოო ოსმალეთის სამხედრო ხომალდების გაგზავნა ხმელთა-შუა ზღვაში და თუ ეს ხომალდები თუნისში გაიგზავნა, საფრანგეთი უკმაყოფილებას გამოაცხადებს და ყუმბარებს დაუშენს ამ ხომალდებსა. ამ მუქარის თაობაზედ, ოსმალეთს განზრახვა აქვს ევროპის სახელმწიფოებს მიმართოს ნოტით.

სოფია, 27 აპრილს. ბოლგარიის მთავარმა ალექსანდრემ გამოსცა შემდეგი პროკლამაცია: „ერთ-ხმით ჩამბარეს მე ბოლგარიის ბედი. ძრძალვითა და შიშით ვიკისრე მე ბოლგარიის გამგეობა და წარმატების გზაზე დაყენება. ბულწრფელათ ემუშაობდი და ვცდილობდი ბოლგარიის ხალხის კეთილ-დღეობის დამყარებას. სამწუხაროთ, ჩემმა შრომამ და იმედმა ტყუილ-უბრალოდ ჩაიარა: ახლა ბოლგარია შიგნითაც და გარედანაც დამცირებულია; ყველგან უწესოება ჰსუფევს. ხალხს კანონისა და სამართლიანობის ნდობა აღარა აქვს“. შემდეგ მთავარი აცხადებს, რომ ღენ. ერნროტს მინდობილი აქვს ახალი დროებითი სამინისტროს შედგენა, რომელიც განაგებს საქმეებს, სანამ ხალხის წარმომადგენელთა კრება არ შესდგება. „თუ ეს კრება დათანხმდება ყველა იმ წინადადებაზე, რომელსაც მე წარუდგენ დასამტკიცებლად, ამ შემთხვევაში მე დაერჩები ბოლგარიის მთავრად. მაგრამ ახლანდელ მდგომარეობაში არ შემიძლიან ბოლგარიის მთავრად დარჩომა. კონსტიტუციის ძალით, მე შეეკრებ სახალხო კრებას, რომელზედაც დამოკიდებული იქნება ბოლგარიის ბედის გარდაწყვეტა.“ ახალ სამინისტროს ბოლგარიისას შეადგენს: ღენ. ერნროტი—რჩევის თავს-მჯდომარე, ცელესკოვიჩი—სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრი, სტიმალოვიჩი—ფინანსის სამინისტრო, დანარჩენ ადგილებზე ისევ ძველი მინისტრები დარჩნენ.

ჩვენი ბანკებისაგან მოგებულ ფულის მოხმარება

ტფილისი, 29 აპრილს.

უმთავრესი და უპირველესი დანიშნულება ყოველის საადგილ-მამულო ბანკისა, როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, იმაში მდგომარეობს, რომ ფულის შოვნით, სესხით ხელი მოუმართოს მემამულეებს, რათა ამათ (მემამულეებმა) შეიძლონ თავიანთ ადგილ-მამულის უფრო რიგიანათ შემუშავება და უფრო მომეტებულის სარგებლობის შეძენა მიწის მუშობიდამ.

ჩვენი ბანკების დამაარსებლებს, საუბედუროთ, სრულიად არ ესმისთ ეს არსებითი, ძირითადი კანონი და დანიშნულება საადგილ-მამულო ბანკისა. თფილისის ბანკის დამაარსებელთ უკანასკნელ საზოგადო კრებაზედ სამმართველოტორმა ზედი-ზედ წარმოსთქვეს, რომ ჩვენი ბანკის დანიშნულება ის არის, რომ სკოლებს შეეწიოთო.

მაგრამ კიდეც რომ ესმოდეს ყველას ეს დანიშნულება, მაინც რა გამოვა: ჩვენი თავად-აზნაურობა, ამ ბანკებიდამ ფულის ამღებნი ისეთს მდგომარეობაში არიან ამ ქამად ჩავარდნილნი, რომ ათასში ერთს არ შეუძლია, მართლა ნამდვილად იმ ადგილ-მამულს მოახმაროს ბანკიდამ ნასესხები ფული, რომლის გირაოთაც სესხულობს და რომლის შემუშავების გასაუმჯობესებელადაც ვარდება ვალში. ათასში ერთი არ აძლევს ბანკიდამ აღებულ ფულს თავის ნამდვილ დანიშნულებას; დანარჩენი ან ძველ ვალებს იხდიან ამ ნასესხებ ფულით, ან ახალ ქეიფებს ეწევიან.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ხსენებულ ბანკებს სხვა მხრით მიაქვთ დიდი და განუზომელი სარგებლობა ჩვენი საზოგადოებისათვის. ჩვენ ვამბობთ იმ ფულზე, რომელიც მუდამ წელიწადს წმინდა მოგებად რჩება ჩვენ საადგილ-მამულო ბანკებს და რომელიც წესდების ძალით, ბანკის დამაარსებლებმა „მემამულეთა და მიწის შემმუშავებელთ საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელად“ უნდა მოიხმაროს.

ესეც რომ არ იყოს, ჩვენ საადგილ-მამულო ბანკებს არავითარი მნიშვნელობა ორათ: დიდათ და მცირე საჩაჩნოთ. მთელმა ქვეყანამ იცის რა გვარათ დაუხვდნენ ჩაჩნები რუსებს. ჯერ წასრულ საუკუნეში დაუდ-ბეგის და ოსმარ-ხანის დროს და მერე ამ საუკუნეში ყაზი-მოლლა და შამილის დროს, ჩაჩნებმა „უკანასკნელის სისხლის წვეთამდის“ ებრძოლეს ჩრდილოეთის დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაჰმადიანები—სუნიტები, რომელთაც შიიტებზე უფრო მტკიცედ უჭირავთ თავისი სარწმუნოება, ჩაჩნები თავგანწირულებით ებრძოდნენ რუსებს, ებრძოდნენ იმ ენერგიით, რომელიც მარტო თავისუფლების მოყვარეობ ს და რელიგიურ ფანატიზმს, შეუძლია მისცეს კაცს. მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა: 1859 წლიდამ საჩაჩნო ყველაზე უფრო ნაყოფიერი ადგილი მთელის ქავკასიის გადაღმართისა, სრულიად დაპყრობილია რუსებისაგან.

რუსებმა ააშენეს შიგ შუა დაღესტანში ერთი მაგარი ციხე „ვროზნაია“ (საშინელი), რომელიც დღეს ჩაჩნებისთვის, მართლა, საშინელი შეიქნა. ჩერქეზებსაეით, ჩაჩნებიც აიძულეს გადასახლებულ-იყვნენ მოზდოკის ახლო ბინდვრებზე და თერგის ხეობაში. ვინც კი არ ისურვებდა გადასახლებას, უნდა აყრილიყო და ოსმალოს სამხეთში გადასახლებულიყო. მმართებლობამ იმათ დაუნიშნა... გზა, რომლითაც უნდა წასულ-იყვნენ ახალს, ჯერეთ უნახავ... სამშობლოში. ეს გზა იყო ქავკავიდამ ალექსანდროპოლამდის, თბილისში გამოვლით. მთელი თვეები ამ გზის გაყოლებაზე საწყალი ჩაჩნები შარაზე იყვნენ გამწკრეული წვრილ-შვილებითა, საქონლით და შინაური სამკაულით. ოსმალეთში კიდევ ახალი უბედურება ელოდა იმათ. მიწა ვერ იშოვეს სამყოფი, რაისა გამო ოსმალოებთან მოდიოდათ ხშირი უთანხმოება და სისხლის-ღვრა. რამდენჯერმე იქედამაც აიყარნენ ისინი. კიდევ, როგორც იყო სამარემ შეიწყნარა ერთი ნაწილი ამ უბედურებისა. დანარჩენის ბედი კი მხოლოდ ღმერთმა იცის.

ჩ-ჩანი ბევრათ ჰგავს ჩერქეზს. რო-

«დროების» ფელეტონი, 30 აპრილს.

LA CAUCASIE *)

E. Reclus.

(გამოკრება ბლიზე რეკლიუს გეოგრაფიიდამ „კავკასია“)

სტატია მესამე.

IV

დაღესტანი. ალმოსავლეთის კავკასია.

ალმოსავლეთში ქავკასიის მთას უფრო დაბალი მწვერვალი აქვს, ვინემ დასავლეში, თუმცა საზოგადოთ ალმოსავლეთი ქავკასია უფრო აწეულია, ვინემ დასავლეთი. აქ ყველაზე უფრო მაღალი მთა, თებულოს მთა, 4500 მეტრზე აცილებული რ არის.

ალმოსავლეთ ქავკასიას შეადგენს ქავკასიის მთები მყინვარიდამ დაწყებული ზღვამდის. აქ სცხოვრებენ ჩაჩნები, ლეკები, ავარელები და თათრები. 1868 წელს ამათი საზოგადო რიცხვი იყო 908 ათასი; 1872 წელს —995 ათასი. ამ რიცხვიდამ 478 ათასი სცხოვრებდა მარტო დაღესტანში.

მთიულები (*montagnards*), რომლებიც სცხოვრებენ აქ ხსენებულ ტერიტორიაზე, სხვა-და-სხვა ხალხების ჩამომავლობისანი არიან. თითოეულს მათგანს სხვა ზნე აქვს, სხვა ჩვეულება, სხვა სარწმუნოება, ენა... ნამეტურ ენა. ენის სხვა-და-სხვაობა იმ ზომამდის მიდის, რომ მარტო ერთს დაღესტნის სოფელს ინუქს, რომელშიდაც ოც-და-ათი მოსახლე კაცია, თვისი საკუთარი ენა აქვს, სხვა სოფლებსა და ხალხებისთვის* გაუგებარი... თითოეული ამ ხალხთაგანიც თავის მხრით დაყოფილია სხვა პატარა ხალხებათ და ენებათ.

ჩ ა ჩ ნ ე ბ ი, ამათ რიცხვში, სულ რომ ცოტა ითქვას, ოც სხვა-და-სხვა ჯგუფათ მაინც არის დაყოფილი. ლეკების მ ი ჯ ე ბ ი და ქართველების ქ ი ს ტ ი, ჩაჩანი სცხოვრებს ალმოსავლეთ დაღესტანში, ოსებიდამ და ყაბართოელებიდამ დაყოლებული.... მისი ქვეყანა მდინარე სუნჯით დაყოფილია ორათ: დიდათ და მცირე საჩაჩნოთ. მთელმა ქვეყანამ იცის რა გვარათ დაუხვდნენ ჩაჩნები რუსებს. ჯერ წასრულ საუკუნეში დაუდ-ბეგის და ოსმარ-ხანის დროს და მერე ამ საუკუნეში ყაზი-მოლლა და შამილის დროს, ჩაჩნებმა „უკანასკნელის სისხლის წვეთამდის“ ებრძოლეს ჩრდილოეთის დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაჰმადიანები—სუნიტები, რომელთაც შიიტებზე უფრო მტკიცედ უჭირავთ თავისი სარწმუნოება, ჩაჩნები თავგანწირულებით ებრძოდნენ რუსებს, ებრძოდნენ იმ ენერგიით, რომელიც მარტო თავისუფლების მოყვარეობ ს და რელიგიურ ფანატიზმს, შეუძლია მისცეს კაცს. მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა: 1859 წლიდამ საჩაჩნო ყველაზე უფრო ნაყოფიერი ადგილი მთელის ქავკასიის გადაღმართისა, სრულიად დაპყრობილია რუსებისაგან.

*) ის. „დროება“ 81 ⁊ 84 №.

ლობა არ ექნება. მხოლოთ ამ მოგებულ ფულის სასიკეთოდ მოხმარების იმედით მიიქცევენ ბანკები ჩვენს თანაგრძნობას და იმსახურებენ საზოგადო ყურადღებას.

შემდეგში ეს საგანი კიდევ უფრო მომეტებულ ყურადღებას თხოულობს ჩვენის საზოგადოებისაგან ამიტომ, რომ დღეს თითოეულ ჩვენს ორ ბანკთაგანს (თფილისისას და ქუთაისისას) ორი-ათას თუმანზე მეტი არ რჩება საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი ფული (45% მთელის მოგებისა) და მომავალში კი, უეჭველია, ისე გავრცელდება ბანკების ოპერაციები, ისე ბევრი შემოსავალი ექნება, რომ შეიძლება ხუთი და ათი ათასი თუმანიც დარჩეს ამ საჭიროებისათვის.

სამწუხაროთ, ჩვენი ბანკების დამაარსებლებს ჯერ კიდევ კარგათ არა აქვთ განსაზღვრული და გამოკვლეული—თუ რაზედ და როგორ მოიხმაროან, რომელი საზოგადო საჭიროება დაკმაყოფილონ თავიანთ ბანკებიდამ დარჩენილის მოგებით. ერთი ბანკი სტუდენტებს ეწევა, მეორე ქალების ზავედენიას; ერთი სოფლის ბანკებს, მეორე ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებას, ერთი დაზიანებულ მემამულეს უმართავს ხელსა, მეორე პრემიისათვის ნიშნავს ფულს და ამ ნაირად იფანტებიან, ღობეყორეს ედებიან, დღეს ერთს კეთილ საქმეს ეწევიან, ხვალ მეორეს, ზეგ სულ სხვას და სხვ.

არის მხოლოთ ერთი საგანი, რომელსაც ორივე ჩვენი ბანკის დამაარსებელნი გულ-მოდგინეთ და ენერგიულად ეკიდებიან და ამ შემთხვევაში სრულის თანაგრძნობის ღირსნიც არიან ისინი: თფილისისა და ქუთაისის საოზნაურო სკოლაზე მოგახსენებთ, თუმცა სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ სკოლებს საოზნაურო ჰქვიან სახელად და ქუთაისის ბანკის დამაარსებელთა, ქვეყნის-წინაშე სასრცხოდ გადაწყვიტეს, რომ გლეხის შვილები არ მიიღონ თავიანთ სკოლაში.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ ზემოჩამოთვლილი საგნები, რომლებსაც ეხმარებიან და სწირავენ ბანკის დამაარსებელნი ფულს; თანაგრძნობისა და დახმარების ღირსნი არ იყვნენ. ღმერთმა დაგვიფაროს. ჩვენ მხოლოთ იმას ვამბობთ, რომ ერთობ გაფანტვა, ყველაფრის მოდება ხელს არ მოგვცემს, ყველაფერს ვერ გავსწვდებით, ყველას ვერ დავეხმარებით ჯერ-ჯერობით მაინც.

ამიტომაც რამდენიმე უფრო საჭირო საგანი უნდა ამოირჩიოს საზოგადოებამ და უმთავრესი ყურადღება ამათ დაკმაყოფილებას, ამათ რიგიან გზაზე დაყენებას მიაქციოს. თუ ფულები იქნება, რასაკვირველია, ამის გარდა სხვა საერო საქმეებსაც უნდა მოუმართოს ცოტ-ცოტათი ხელი, მაგრამ, ვიმეორებთ, უმთავრესი ღონის-ძიება და ყურადღება კი მხოლოთ რამდენსამე უფრო უსაჭიროესს საგანს უნდა ექმნეს მიქცეული.

აქვე ერთი წინადადებაც ქუთაისის ბანკის დამაარსებლებს:

ქუთაისის ბანკის მოგებიდამ, თუ არ ვსცდებით, თავიდამვე მუდამ წელიწადს ეგზავნება ფულით შემწობა რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში მყოფ ქართველ სტუდენტებს. ათას მანეთს რომ გადადებენ, ვსთქვათ, ამ საგნისათვის, ორასს ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტებს უგზავნიან, სამასს პეტერბურღში, სამას მოსკოვში და ასე ამ ნაირად. ამ გვარად ფულის დარიგებას და განაწილებას, ჩვენის აზრით, ის ემჯობინება, რომ ბანკმა გაიჩინოს თავის საკუთარი სტიპენდიატები და ესენი გამოზარდოს თავის ხარჯით უმაღლესს სასწავლებლებში. ამათ ეცოდინებათ მაინც, რომ ღონის ძიება ექნებათ უცხო ქვეყანაში ცხოვრებისა და სწავლისა, თორემ იმ გვარად ფულების განაწილება, როგორც ახლაა, ჯერ-ოვან დახმარებას ვერც ერთ სტუდენტს ვერ გაუწევს და, როგორც გაგვიგია, ზოგიერთ უნივერსიტეტის სტუდენტებში უსიამოვნება და განხეთქილება ჩამოვარდნილა, სამწუხაროთ, ფულების განაწილების დროს.

ახალი ამბები.

ჩვენ მივიღეთ ქუთაისის თავადაზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის შარშანდელ 1880 წ. შემოსავალ-გასავალის ანგარიში, რომლიდამ უფრო საყურადღებო ციფრები მოგვყავს:

უმაღლეს მთავრობას ხსენებულ ბანკისათვის ნება-რთვა მიუცია, რომ მომავალ კავკასიის უნივერსიტეტის სასარგებლოდ შესწიროს 40,000 მანეთი და ამას გარდა ქუთ. საოზნაურო სკოლას დაერქვას სახელად „ალექსანდროვის სკოლა.“

1880 წლის განმავლობაში ბანკს გაუცია 1,025,400 მ. გრძელ-ვადიანი სესხი...

წმინდა მოგება დარჩენია—36,012 მან. 16 კაპ.

სოფლის მამულების ვირაოდ გაუცია 128,600 მან. და ქალაქის მამულებისა—896,800 მან. ქალაქს ქუთაისში 383,800 მანეთის სესხი და თფილისში კი—510,000 მან.

თავის დროზე ვალის გადაუხდელობისათვის შარშან ბანკს სამი მამული გაუყიდნია, ერთი ქალაქისა და ორი სოფლის; ამ მამულების ვალი ყოფილა სულ 13,539 მან. და ბანკს კი 24,827 მანეთად გაუყიდნია.

ბანკის დაარსებიდამ სულ 514 მამული აქვს დაგირავებული და სულ 5 მამული გაყიდულა.

ბავლილ წლის განმავლობაში ქუთაისის ბანკის ასამანეთიანი გირაოს ფურცლები 89 და 90 მან. 75 კაპ. ისყიდებოდა პეტერბურღის ბირჟაზე.

* * *

ჩვენ დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა, რომ, როცა თფილისის საადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა გადაწყვიტეს თელავის წმ. ნინოს ზავედენიისათვის ათასი მანეთის შეწირვა, ამ გარდაწყვეტილებას თან დართეს სურვილი, რომ ეს ფული ხსენებულ საქალებო სასწავლებელში ქართულ ენის უფრო კარგათ და ბეჯითად სწავლებისათვის იქმნეს მოხმარებულიო.

* * *

ქუთაისიდამ ვვწერენ, რომ გავლილ კვირას, 19 ამ თვისას, თ. აკაკი წერეთელს წაუკითხავს პირველი თავის ლექცია „ვეფხის ტყაოსნის“ თაობაზედ და მეორეც ხუთშაბათს, 23-ს. ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, თეატრის ზალაში იმდენი ხალხი იყო, რომ ძლივს ეტეოდნენო და ლექტორსაც ხანგრძლივი და აღტაცებული ტაშის-კვრა და „ბრავო“ არ დაეკლესო.

* * *

ამბავი სამეგრელოს თავად-აზნაურებისთვის...

ჩვენ შევიტყეთ, რომ კავკასიის ნამესტნიკის მთავარ-სამმართველოში ამ ჟამათ მზადდება ინსტრუქცია (წესი) ახალ კამისიისათვის, რომელმაც უნდა გაარჩიოს იმ სამეგრელოს თავადაზნაურების ღირსება, რომელიც წინანდელ კამისიას არ განუხილავს. ეს ინსტრუქცია და კამისიის პროექტი ამ დღეებში განიხილება მთავარ-მმართებლს რჩევაში და შემდეგ კავკასიის კომიტეტის საშვალებით დასამტკიცებლათ წარედგინება ხელმწიფე იმპერატორს.

* * *

გორც ჩერქეზი, ის არის ცქვიტი, მედიდური, ლამაზი მიხრა-მოხრის და უყვარს მდიდრული ტანისამოსი. იმათში უმეტესობას მოკაკული ცხვირი აქვს და მოუსვენარი, თითქმის ბოროტი თვალები. მაგრამ არიან სულგრძელნი და ძვირათ ჰკარგვენ ზდილობას. ქაცის მოკვლა ამათ არაფრად მიაჩნიათ, მაგრამ შეურაცხყოფას კი არასოდეს არ იკადრებენ...

მათი საცხოვრებელი წმინდა სოროა არის—ციცა, ბნელი, ნესტიანი. ზოგი მიწაში არის ამოთხრილი, ზოგი ქვებით ახროვებული, ზოგი ნამორი ხისა. რამდენიმე ესეთი საცხოვრებელი შეადგენს ა უ ლ ს. რუსების ჩამოსვლამდის, მთიულების უმეტესი ნაწილი რამოდენიმე თავის უფალ საზოგადოებათ იყო დაყოფილი. თითოეული საზოგადოება შეადგენდა რესპუბლიკის კომმუნას, როგორც იყო წინაპირველათ შვეიცარიის კანტონები. ეს საზოგადოება ემორჩილებოდა საერთო განჩინებას. მათი კანონი იყო ა დ ა თ ი. ზოგიერთი საზოგადოება კი მემკვიდრეობით ხანებს ემორჩილებოდენ. ამათი მეუფება მაჰმადიანების შემოსვლის დროიდამ არის.

ჩაჩნები ერთმანერთში თანასწორები არიან. მათ სტუმრის-მოყვარეობას საზღვარი არა აქვს. სისხლის ძიება ამათშიაც გავრცელებულია ისე, როგორც სხვა მთიულებში, თუმცა ხანდისხან მორიგებაც მოხდება. ამ შემთხვევაში დამნაშავემ თავზე თმა უნდა მოუშვას და ჭირისუფალმა მოპარსოს ხოლმე ეს თმა და ძმობა შეფიცოს ყურანზე.

აქ რეკლიუს მოჰყავს რამდენიმე ჩვეულება ჩაჩნების საზოგადო ცხოვრებიდ ამ. ერთი ამ ჩვეულებათაგანი ეი როგორი ყოფილა. რო ჩაჩანს ცხენი დაეკარგება ის შემოირტყამს წელზე თოფ-იარაღს, მოიხურავს თეთრ წამოსასხამს, ჩაიდებს რამდენსამე ფულებს და გაუდგება გზას. შემთხვევაზე ეს ფული მღვდელს უნდა მიეცეს და წამოსასხამმა სუდარის მაგიერობა უნდა გაუწიოს. ამ სიკვდილის ნიშნებით ჩაჩანი ეძებს ცხენს და თუ იპოვა, სასიკვდილოთ შეებმება ცხენის ქურდს; თუ ის, ვისთანაც ცხენი იპოვა, ქურდი არ არის და ცხენი სხვისგან უყიდნია, გამოართმევს ცხენის პატრონს სიკვდილის ნიშნებს, იმოსება თითონ და მიდის ნამდვილ ქურდთან,—სიკვდილი გვიან, თუ მალე, თავის მსხვერპლ ხელს არ შეაცილებს... ეს ჩვეულება რეკლიუს მოჰყავს რომელიღაც ამერიკელი ჟურნალიდამ!..

ლ ე კ ე ბ ს ჩაჩნების აღმოსავლეთით მდებარე მინდვრები უჭირავთ. ეს მინდვრები შეადგენენ აღმოსავლეთ კავკასიას.

ქოლენატი ანგარიშობს ლეკებში 55 სხვა და სხვა ტომ: ბერძე-51-ს, ქომაროვი თავის ეთნოგრაფიული ქარტაში 27 ხალხს ნიშნავს. ყველა ამ ხალხებს თავისი დიალექტი აქვთ. ულაფმა და შრენერმა ეს ენები დააწყვეს ჯგუფებად. შემთავრესი ჯგუფი აღმოსავლეთს დაღესტანში დარგოს და ქურას ჯგუფია, დასავლეთ დაღესტანში—ავარელებს. სხვა და სხვა ხალხების ერთმანეთთან ლაპარაკი დასავლეთს დაღესტანში ხდება არაბულს ენაზე, აღმოსავლეთ დაღესტანში—ადერბეიჯანის თათრულზე.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ხალხი ამათ შორის არის ავარიის ხალხი, რომელიც შეადგენს ლეკების მეხუთედ ნაწილს. ვინ არის ეს ავარები? იმ ავარების ძმები ხომ არ არიან, რომელთაც ერთ-დროს დუნაიზე დაეფუძნეს დიდი სახელმწიფო და რომლებზედაც გაიმარჯვა დიდმა-ქარლოსმა. ბევრნი ასე ფიქრობენ.

თუმცა ლეკებმა მიწის-მუშაობა იციან, მაგრამ რადგანაც დაღესტანში არ არის ნახევარ მილიონისთვის საკმაო სახნავ-სათესი მიწა, ლეკი იძულებული შეიქნა ან სხვა ქვეყანაში გადასახლებულიყო და იქ ეძია ეს დანაკლისი პური, ან თავის ქვეყანაში მტაცებლობისთვის მიეყო ხელი. ლეკი ჩერქეზზე ნაკლოთ გულოვანი არ არის; ის უმფრო გამძლეა და უფრო დაუღალავი, მაგრამ რადგანაც ლეკეთი ბევრ-პატარა ხალხებათ იყო დაყოფილი და ეს ხალხები განუწყვეტელს უთანხმოებაში და

ბუშინდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია ზაქათალიდამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც იწერებიან, რომ ბელაქანში მოუკლავთ ზაქათალის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი სერაფიმოვიჩი და კაპიტანი საკალცოვი.

ეს სამწუხარო ამბავი მომხდარა ნათლობაში, ადგილობრივ მემამულის ბალაჯოვის სახლში. მკვლელი სახლის პატრონის ძმა პარუჩიკი ბალაჯოვი, რომელ'აც ჯერ საკალცოვი მოუკლავს ხანჯლით და მერე სერაფიმოვიჩი, იმ წამსვე დაუჭერ'ით.

თუმცა მართალია, რომ ბ-ნ სერაფიმოვიჩს ადგილობრივი მცხოვრებლები არ ემადლიერებოდნენ, მაგრამ ეს მკვლელობა სრულებით ამით და არც საზოგადოთ მტრობით არ აიხსნება, არამედ ქეიფის დროს უბრალო ჩხუბით, უკმაყოფილებით.

* * *

სოხუმიდამ შემდეგს სამწუხარო ამბავს გვწერენ:

„აღდგომის პირველს დღეს რამდენიმე მეგრელებმა გამართეს ქალაქში სიმღერა და ფერხული. საიდგანაც არ იყვნენ გაჩ'ენენ სალდათები და მუქარით დაეშალათ მათთვის მხიარულება. (გლოვა არის, მხიარულება არ შეიძლებაო). მეგრელები ქალაქს გარეთ წასულიყვნენ და იქ გაეგრძელებინათ სიმღერა და ცეკვა. აქ დაუხდენ მატროსები და გაუმართეს ჩხუბი. შეიქნა ცემა-ტყეპა... პოლკოვნიკმა აჩაკინმა როტა სალდათი მიაშველა მატროსებს. რამდენიმე კაცი მეგრელთაც აღმოუჩნდათ დამხმარედ.... ორსავე მხრით ოცდა-ათს კაცზე მეტია მძიმედ ნაცემი და დაჭრილი“.

ჩვენ გვაკვირვებს—ნუ თუ ჯარის უფროსებმა არ იცოდნენ, რომ აღდგომის პირველი დღიდამ ერთი კვირის განმავლობაში გლოვა ახსნილი იყო?

წერილი რედაქტორთან.

I

ბატონო რედაქტორო!

ჩვენ წავიკითხეთ „დროების“ მე-65 № ში, რომ 19 თებერვალს, როცა გაიხსნა სოხუმის ატდელში ახალი სასამართლო, დაბას ოჩამჩირეს გაუმართეს სადილი მომრიგებელს მოსამართლეს სამურზაყანოს თავად-აზნაურობამაც.

ყოველ ამ გვარ საქმეს ჭეშმარიტება უნდა უძღოდეს და არა მოგონილი ზღაპრული ცნობა. ამის შესასწორებლათ, გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს სიმართლეს.

აი, როგორ გახლდათ საქმე. ბ-მოცხადდა, რომ სოხუმის ოტდელში 19 თებერვალს უნდა გაიხსნას ახალი სასამართლოებიო, იმ წესით, როგორც ქუთაისის ღუბერნიაში.

ერთი კვირის წინეთ ამ ვადამდის, სოფლის მამასახლისებმა ჩამოატარეს ამ გვარი ქალალდები:

„19 თებერვალს ახალი სუდია მოდის და ხელმწიფემ მოგვანიჭა ეს მისი უხვი მოწყალებით შეთანასწორება მთელს იმპერიასთან. 19 თებერვალს მოახდინა ჩვენმა დიდმა ხელმწიფემ ყველა ცვლილებაები, როგორც განთავისუფლება ყმებისა ისე სხვანიც და რადგან ეს 19 თებერვალი ხელმწიფის დღეობა არის, ჩვენ ოჩამჩირის მოქალაქეები ვაკეთებთ სადილს და ვდღესასწაულობთ; ვისაც ჰსურს საზოგადოებას თავად-აზნაურსა **დაგვესწროთ სადილზედ, ორ-ორი მანათი** შემოიტანეთ და სადილზედ ნება გაქვსთ დაგვეწვიოთ.

„ხელს ვაწერთ მოქალაქებთაგან გამორჩეულნი თეიმურაზ ჩაჩავა და ნიკო ძოიავა“.

აქედან დაინახება: ვინ ითავა სადილის გაკეთება, რა საშუალობით და რა წესით.

ბასაოცარი ეს არის, რომ აქ მამასახლისებს რა მოვალეობა ჰქონდათ ამ გვარი განცხადების და მიწვევის ბარათების ჩამოტარებისა სოფლითი-სოფლათ და ან რათა ჰქონდ.თ ბრძანება ნაჩალნიკისა ამ საგანზედ...

თავად-აზნაურობამ ითაკილა ეს მოქმედება და ამგვარი მიწვევა სადილის გასამართავად: პირველი იმით, რომ ჯერ მოსამართლეს არ იცნობდნენ, მეორე რომ მის კეთილი მოქმედება არა ენახათ-რა და უმთავრესი იმითი, რომ თავად-აზნაურობა ბრძანებით და მედუქნეების მიპატიჟებით კი არ მოძრაობს, არამედ თვითონ იცის დროც, წესიც და ღირსეული შეგებებაც და დღესასწაულობაც, როდესაც ჰმართებს ხელმწიფის მოწყალეობის სამხიარულოთ და ამ მიზეზით, კეთილ-შობილება სწორეთ გულ-ნატკენი დარჩა და ნაჩალნიკს მალილოვსკის გაუმჟღავნა თავისი უკმაყოფილება. იმანაც ბოდიში მოითხოვა, სუდიას კი მიუგზავნეს თავადაზნაურთ პოლკოვნიკი ჩხოტუა ამ სიტყვებით: „შენი მოსელა ჩვენთვის დიდი სასიამოვნო არის და დიდის კმაყოფილებით შეგეყრებით, მხოლოდ ეს კი იცოდეთ, რო დღეევანდელი თქვენთვის გამზადებული სადილი არის მედუქნეებისაგან, რომელთანაც ჯერ ჩვენ საერთო არა გვაქვსრა.“

სადილზე იყვნენ მიწვეულნი: მაზრის ნაჩალნიკი მაიორი მალინოვსკი თავის ადიუდანტით საველკით, სუდია, პოლკოვნიკი ჩხოტუა, სოტნის კამანდერი ძაჯაია და მისი თანაშემწე ბელოვანი.—ესენი სულ მუნდრენებით იყვნენ, რადგან ხელმწიფის დღეობა იყო.

სამურზაყანელი.

II

ბატონო რედაქტორო! „დროების“ 72 ნომერში წავიკითხე პასუხი ს. ბ—ძისა ვინმე კულაშელზედ. ამ წერილის ბოლო შეენიშნა ჩემს და ჩემს მყოფის დირექტორის ბ. მარსოვის უკანონო მოქმედებას შაგირდების მიღების დროს ჩემდა რწმუნებულს სკოლაში. რადგან ეს ნამდვილი ცილის წამება არის, უმორჩილესად გთხოვთ თქვენსავე გაზეთში მისცეთ ადგილი ჩემს ქვემო-მოყვანილს გამართლებას ჭეშმარიტების აღსადგენათ.

ბ. ს. ბ—ძე სწერს: „ნუ თუ კულაშელმა არ იცის, რომ ბ. ადრინდელ დირექტორმა ძუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლებისამ ბ. ბ—მა გამოუცხადა საზოგადოთ: ქულაშში დაარსდა ერთ კლასიანი ნორმალური სკოლაო, რომელშიაც მიიღება მარტო ქულაშის საზოგადოების შვილებიო; მაგრამ ჩვენი საზოგადოების გლეხები ატირებული გაუშვეს თავის შვილებით სახლში და გარეშე საზოგადოების კი თორმეტი ყმაწვილი მიიღეს.“

ეხლა ეკითხავ ბ. ს. ბ—ძეს: ვინ მიიღო სკოლაში შაგირდები: იმავე მარსოვმა თუ არა? და თუ იმავე მარსოვმა—მაშ რათ ვადუთქვამ მისი სიტყვა? აი რათი ხელმძღვანელობდა ბ. მარსოვი, როდესაც მან მიიღო შაგირდები სენაკის და ქულაშის ნორმალურ სკოლებში: პირველად უნდა მიგველო იმავე საზოგადოების შვილები ღარიბებიდგან დაწყებული და თუ ეკანსია დარჩებოდა, მაშინ უნდა მიგველო იმ უშვილო კაცების ნათესავებიც, რომელნიც იმავე საზოგადოებას ეკუთვნიან და ითვლებიან ეგრეთვე შამომწირველებათ, როგორც სხვა ყველანი, რომელთაც შვილები აქა ყავთ.

როგორც სენაკში, აგრეთვე ქულაშში საზოგადოების წარმომადგენელ პირებმა ითხოვეს, რომ მიღებული ყოფილიყვნენ იმ უშვილო კაცების

ომში იყვნენ ერთმანეთთან და ამას გარდა ლეკებს ჩვეულებათ ჰქონდათ, ალბანიელებსა და შვეიცარიელებსათვის, მიექირავებინათ თავი მეზობელი ხალხის ჯარისთვის,—ლეკები დაწვრილდნენ და დასუსტდნენ. ომში და შეტაკებაში ლეკები არ იქცეოდნენ ისე კეთილ-შობილურათ, როგორც ჩერქეზები. როცა ჩერქეზებს დაატოვებინებდნენ მისგან მოტაცებულ ტყვეს ის უნებლიეთ გაუშვებდა ტყვეს; ლეკი კი ამ შემთხვევაში იმას მარჯვენას მოაცლის და შინ მოიტანს გამარჯვების ნიშნათ.

ლეკები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ღვინოს და თუთუნს კარგათ ეწყობიან. ერს ლეკურ ხალხზე, დიდოელებზე ამბობენ, რომ ისინი ეშმაკის თაყვანის მცემელნი არიანო.

ლეკები ბევრს ეომენ ჯერ ავარიის ხანებს და მერე რუსეთს. როცა შამილი რუსების ხელში ჩავარდა იმას მარტო ოთხასი კაცი ჰყავდა. სხვები სულ დაიხოცა ომის დროს. იმ დროის წესი და ურთი-ერთ შორის უთანხმოება დღესაც არ დაკარგულა იმათში. დარუბანდის დასავლეთში რომ მკვლელობა არის იმდენი მთელს რუსეთის იმპერიაში არ არის. ბამოანგარიშებულია, რომ სამასში ერთი კაცი ან მოიკვლის, ან დაიჭრება წლის განმავლობაში. საკვირველია, რომ ამისთანა კაცების მეზობლათ სცხოვრებს ისეთი მშვიდი ხალხი, როგორიც არის ყუბაჩები, რომლებიც თოფ-იარაღის ჭედვაში არის გართული. აბას ოდეს ლეკინებას არ მისცემს თავის თავს, რომ ამ ყუბაჩებს ხელი ახლოს. ნეტა სადაურია ეს ხალხი? თავის თავს ეს ხალხი ფრენგათ უწოდებს, მაგრამ არც მათი პირის-სახე, არც ენა არ ამართლებს მათ სახელს. იმათი რიცხვი 1867 წელში ორი-ათასი იყო.

დარგოს მაღალი, ხუთი სალეკო სოფლების კავშირი (ფედერაცია), შესანიშნავი იყო, როგორც მცხოვრებთა კეთილ-დღეობით, ისე მჭიდრო მოსახლეობით.

ამ მაღალში შეეძლო ყოველ კაცს შეფარებია თავი, სრულის თავისუფლებით.

ქასპიის ზღვის ნაპირზე, რომელიც ძველათვე ევროპასა და აზის შუა გზა იყო, ყოველმა მოგზაურმა ხალხმა დასტოვა თავისი კვალი: აქ ნახავთ მონგოლებს, სემიტებს, არიელებს, თათრებს. ჩრდილოთ არიან კუმიკები, 50 ათასი სული, შუაზე კიდეე სხვა თათრები და ურიები. ეს ურიები, მოსე ხორანელის მოწმობით 2500 წლის წინათ არიან მოსულნი. ისინი რო სახელებს არქმევენ თავიანთ შვილებს ისეთიეე სახელებნი არიან, როგორიც იყო ძველ ებრაელებში, მსაჯულების დროს...

აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებზე დაახლოვებით ესა აქვს ნათქვამი რეკლიუს.

შემდეგ ამისა რეკლიუ ასწერს მოკლეთ: ბუნზაკს, ბიმრს, ვედენოს, თემირ-ხან-შურას, პეტროვსკს, დარუბანდს, ყუბას, და სხ.

დარუბანდზე გადმოცემა ამბობს, ვითომ, მიდიელების მეფეთაგან იყოს გაშენებული, ან ალექსანდრესაგანო. ისე ძველი არ უნდა იყვეს დარუბანდი. ის ან მეხუთე საუკუნის ბოლოს არის გაშენებული, ან მეექვსე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის მეფისაგან (სახსანიდის დინასტია); მასსუდი ფიქრობს რომ ხოსროეს ამუშირევანის აშენებულია. დარუბანდი ერთ დიდს კარს წარმოადგენს. იმას ეძახდნენ „რკინის კარს“, „კარების კარს“. საშვალ-საუკუნის მოგზაურები სწერენ, რომ დარუბანდის კედელი ერთ მილის სიგრძეზე (სხვები იტყვიან ნახევარი მილი) შედიოდა ზღვაში. ბადმოცემა ამბობს, რომ ეს კედელი მთელი კავკასიის სიგრძე იყო და ერთ ზღვას მეორე ზღვასთან აერთებდაო.

მართალია თუ არა ეს გადმოცემა ამაზე არას ვიტყვით, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ დარუბანდიდამ 30 კილომეტრის სიგძეზე ამგვარი კედლის კვალი დღესეც აჩნია.

დარებანდი რუსების ხელშია 1813 წლიდამ.

ი. მეუსარგია.

ნათესაებიც, რადგან ესენი უფრო მატერიალურ შემწეობას ჰპირდებოდნენ მათ, მინამ ისინი, რომელთაც თავიანთი შვილები შემოჰყავდათ.

მე თვითონ მითხრეს ზოგიერთ პირებმა: „ჩვენ მზათ ვიყავით ეს მანეთამდის შამოგვეწირა და თუ კი ხმა არ გვექნება, მაშინ ვეცდებით წილის-ფულიც არ გადეიხადოთო“. 60 შაგირდში, რომელნიც მიღებულნი იყვნენ სკოლის გახსნის დროს, 52 აქაურების შვილები არიან, ამ რიცხვში 32 გლეხია და 20 თავადაზნაურთაგანი; დანარჩენი 8 აქაური შემომწირველების ნათესაები არიან.

ვკითხავ ბ. ავცორს: ვინ უნდა იცოდეს ატირებულნი დაბრუნდნენ თუ არა გლეხები თავიანთ სახლში: საზოგადოების აღმორჩეულმა პირებმა, თუ იმან, რომელსაც ამოდენი ხანი არ გაუგია სრული თანხმობა სკოლასა და საზოგადოებას შუა და საზოგადოების დარწმუნება იმაზედ, რომ ერთ აქაურ შვილისათვის უკანონოდ უარი არ გვიყვია და მხოლოდ ჩვენის შრომის დაუზოგაობას და საზოგადოების მოთხოვნილების დაკმაყოფილების გულისათვის მიგვიღია 52 შაგირდის მაგიერად 8 კიდევ.

ერთმა პატივ-ცემულმა თავადმა პირველად წარმოსთქვა ბ. ს. მ—ძის ჰაზრი სკოლის გასხნის დროს, მაგრამ როდესაც ჩვენ მოესთხოვეთ მას მითითება ატირებულ ბავშის მამაზედ, იმან ისეთი კაცი გვაჩვენა რომელსაც ჯერ თხოვნაც არ ჰქონდა ჩემთან შემოტანილი და პირველი ნახვაც იყო მისი ჩემგან. მას აქეთ აგერ ექვს თვეზე მეტია და ჩემთვის არავინ უჩვენებიათ. იქნება თქვენ მოინახეთ ვინმე და მითხარით ეხლა.

ბოლოს სწერს, რომ: „შემდგომ ამ უმგვანი მოქმედებისა ითქმის ნახევარმა ნაწილმა ხელი აიღეს სკოლის საქმეზედო“.

მაშ რალათ გასცეს საზოგადოებამ 29 მარტს აშენება ერთ კლასიანი სკოლის მაგიერად ორ კლასიანისა? ჰგავს ამ სტატიის წერაში ავტორს რაც მოეარდნია ენაზედ, დაუფიქრებლად და გამოუკვლეველად დაუწერია, მხოლოდ მისთვის რომ სთქვას: „მეც ნახირში ურევივარო“ *).

ზედამხედველი კულაშის ნორმალური სკოლისა

ალექსანდრე ნიჟარაძე.

ს. კულაში 14 აპრილს.

*) ამ წერილიდგან ერთად ჩვენ მივიღეთ კულაშის ორი სკოლის მზრუნველის და გლეხების წარმომადგენელებისაგან ხელმოწერილი მოწმობა, რომელშიაც აცხადებენ, რომ არც ერთ სკოლის მონაწილის შვილისათვის ბ. ზედამხედველს უარი არ უთქვამსო. რედ.

განცხადებანი

დავითიანი

თხზულება

დავით გურამის-შვილისა

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზალეკიანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

ფასი ერთი მანეთი.

ისყიდება: თფილისში ბ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში. ხელ-ძის სტამბაში და ქუთაისს ბერარდ-ს წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოცდათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—1)

ადვოკატი ევგენი დიმიტრის-ძე

ტისამიროვი

გადვიდა არსენალის ქუჩაზე, ველიკი კნიაზის საჯინიბოების პირდაპირ, არღუთინსკის სახლებში № 6.

მთხოვნელებს მიიღებს დილის 8 საათიდამ 11-მდინ. და საღამოს 5-დამ 8-მდინ. (1—1)

სწავლა გამოჭრისა და შეკერვისა. ახალი სელოვნებით დახაზვის შუამავლობით.

იქვე მიიღებენ ქალების და ემაწვილების ტანისამოსის შეკერვას, ზომის აღებას და გამოჭრას; ისყიდება ახალ მოდის სახენი გამოჭრილებისა შეპირებული ზომისა და დააწყობენ ჭლისეს მაშინასზედ. აგრეთვე ასწავლიან შეუძლებელ-უმაწილ ქალთა, რომლის პირობაც შეიძლება შეიტყოთ კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაში № 87. (10—7)

ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა ქიახტის და ჩინეთის პირველი მოწვეის ჩაის გასაყიდველად დ ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, ვემრიელი სუკრის ერბო, სასურნელელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შოოკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—56)

ლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრანის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მედალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ღამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—53

დასყიდვის დროს ინგლისის მაღაზიაში იყიდება შარელები 4 მან-დამ. თელი ტანთ-საცმელი 14 მან., ტრიკო და პარუსინა 75 შაურიდამ არშ. ახალი სისტემის თოფები 1.560 და 100 მან. რევოლვერები 4 მან.—40მ-დი ქუდები და შლაპები თითო მანეთად უნაგირები 3ა მ-დამ; კონიაკი 1 ბარისხის 2 მან. ბოთლი, ძველი პორტეინი და ხერესი 1 მან. 40 კ. შამპანის ღვინო 3 მან. კამფეტები 35 კ-დამ გირვ.; შუკოლადი 1 მან. 20 კ. გირვ. და ჩაი უქალალდოთ 1 მან 60 კ. უკეთესი მოსკოვი 2 მ. 20 კ-ნი ქალალდში.

იქვე მრავალი ტახტები, ფოდნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქალალდი, კლიონკა, საურველი, ჩოთქები, ჭურჭლები, სტაქნები, მურაბები, და 16. 30 პროცენტით იაფათ ვინემ სხვაგან. (15—)8

ლონდონის მაღაზია კომერციულ ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი საგასასყიდლათ პირველი ოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუსებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქალალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისა (გემრიელი კლუბჩვინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატეჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ხულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკარეს იგარები. (100—55)

ვისაც აქვს ძველი ქართული წიგნი „ჯვარ-შემოსილი“, უმორჩილესად ვსთხოვთ წარმოადგინოს რედაქციაში. ერთს სამლვთო წერილის მოყვარეს ჰსურს იმის დაბეჭდვა. დაბეჭდვის შემდეგ წიგნი პატრონს დაუბრუნდება და რამდენიმე დაბეჭდილი ეგზემპლიარიც მიეცემა.

(3—3)

სუფრის მოწყობილობა, სასუფეები, ჩაის სერვიზი და სხვ. ბრიტანიის მეტალისა, მურაბა და სხვ. იაფად ინგლისის მაღაზიაში. (10—8)

წლიური ანგარიში

კავთისხევის შემნახველ-ამხანაგობისა 1880 წლის 1-ს იანვრიდან 1881 1-ს იანვრამდინ

შემოსავალი:	მან.	კ.
საწევრო ფული 41 წევრისა — — — —	789—	„
მოსაწყობი — — —	35—	„
საანგარიშო წიგნებისა —	1—	30
გაყიდული საქონლიდან	3,600—	96
სულ	4,426—	26

გასავალი:	მან.	კ.
ნასყიდი საქონელი არის	3,617—	90
ხარჯები დუქნის ყოველნაირი — — — —	771—	23
ქასაში აღმოჩნდა ნაღდი — — — — —	337—	13
სულ	4,426—	26

საქონლის სალასი ანგარიში ამავე დროისა

	მან.	კ.
დარჩენილი მაღაზიაში საქონელი — — —	384.-	25½
ქასაში ნაღდი ფული არის	337—	13
ნისიათ გაცემული არის ხალხზედ — — —	208—	„
ანგარიშის დროს დახლიდარზედ მიხეილ ქანდელაკზედ აღმოჩ. ნაღდი	134—	67
საყასბოს საწარმოებლათ არის გადადებული თავნის გარდა — — —	100—	„
სულ	1,174-	65½

	მან.	კ.
საწილო ფული არის —	789—	„
მოსაწყობი — — —	35—	„
სულ	824—	„
წმინდა ხალასი მოგება—	350-	65½

რევიზიონერები: თავმჯდომარე და საქმის მწარმოებელი იოსებ ცხვედაძე, დიმიტრი შეშაბერიძე, ტატო მჭედლიშვილი, იობა შაყულაშვილი.

რევიზიის წევრნი: გაბრიელ საყვარელიძე. კანდიდატი თ. გიგო თარხანოვი, თ. ივანე ლუკას-ძე თარხან—მოურავოვი. (3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Апрѣля 1881 г Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: იო. ჭავჭავაძე და ს. მესხი.